საქართველოს სახალხო დამცველი

10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2015 წელი

წინასიტყვაობა

10 დეკემბერს ცივილიზებული სამყარო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გადაწყვეტილებით, წელს 10 დეკემბრის მთავარი გზავნილია „ჩვენი უფლებები. ჩვენი თავისუფლებები. ყოველთვის“. გზავნილი უფლებებისა და თავისუფლებების მარადიული იდეის ირგვლივ ტრიალებს და იმ საქმიანობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელიც მათ დასაცავად და უზრუნველსაყოფად დღემდე გრძელდება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიმდინარე წლის მნიშვნელოვან მოვლენად გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საქართველოს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად არჩევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას მიიჩნევს. ამასთან, სახალხო დამცველის აზრით, მნიშვნელოვანია საქართველომ ეფექტურად შეასრულოს არა მხოლოდ გაეროს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, არამედ მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს და გამოიყენოს გაეროს სისტემა ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეაგირებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. საბჭოს წევრობა ახალი გამოწვევაა ქვეყნისთვის და მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტი ადამიანის უფლებათა საკითხებს უნდა მიენიჭოს.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2013 წელს დაწყებული ინიციატივის გაგრძელებას – ყოველი წლის 10 დეკემბერს შეაჯამოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში. სახალხო დამცველის ყოველწლიური, საპარლამენტო ანგარიშისგან განსხვავებით, ბუნებრივია, წინამდებარე დოკუმენტს ყოვლისმომცველობის პრეტენზია არ აქვს; მისი ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებას გააცნოს წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ძირითადი მიღწევები და პრობლემები, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია საქართველოში.

შესავალი

მიმდინარე წლის განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს ხელისუფლება აგრძელებდა რეფორმების განხორციელებას მართლმსაჯულების სისტემასა და სამართალდამცავ სტრუქტურებში.

მისასალმებელია პროკურატურის სისტემაში განხორციელებული რეფორმები, რომელიც აუმჯობესებს პროკურატურის დამოუკიდებლობის გარანტიებს. თუმცა, კვლავ რჩება მთელი რიგი გამოწვევები, რომელთა გათვალისწინება სამწუხაროდ არ მოხდა მიმდინარე რეფორმის ფარგლებში. ასევე, პოზიტიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც შსს—დან სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფას ითვალისწინებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით კვლავ რჩება არაერთი გამოწვევა.

მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად კვლავ რჩებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომლის თანმიმდევრული იმპლემენტაცია უკვე აისახა პროპორციულ და გონივრულ სასჯელებზე, ასევე, აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის შემცირებაზე. ამასთან, დადებითად უნდა შეფასდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება.

სახალხო დამცველი მიესალმება 2015 წელს პატიმრობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის თანახმად, 2016 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიეცემა. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს ცვლილებები, რომელიც მიმართულია პენიტენციური სისტემის ცენტრალიზებულ მართვასა და შიდა ინსპექტირების სისტემის გაუმჯობესებისკენ.

მიმდინარე წელს მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტი შემუშავდა. საკანონმდებლო პაკეტში გათვალისწინებულ იქნა სახალხო დამცველის ერთ—ერთი მთავარი რეკომენდაცია სასამართლოში საქმის განაწილების ელექტრონული წესის შემოღებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კუთხით განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმის მიუხედავად, სასამართლოსადმი ნდობის გასაზრდელად ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა დასაძლევი. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით საგანგაშო იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა დაწინაურების გაუმჭვირვალე და ფორმალური პროცესი, რომელიც არ ეფუძნებოდა კანდიდატთა პროფესიული საქმიანობის სამართლიან და ობიექტურ შეფასების. ისევე როგორც წინა წლებში, სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაეწყო დისციპლინური დევნა იმ მოსამართლეთა მიმართ, რომელთა მხრიდანაც იკვეთებოდა საქმეების განხილვის დროს პროცედურული ნორმების უხეში დარღვევები, თუმცა მიმართვები ადეკვატური რეაგირების გარეშე რჩებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მთავარ გამოწვევას აღარ წარმოადგენს, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი კვლავ გამოძიების რეჟიმშია და ერთეული საქმეების გარდა, შედეგი ადამიანის უფლებათა ამ სისტემური დარღვევის ფაქტებზე არ დამდგარა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა. ამასთან, კვლავ პრობლემურია დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ ძალადობას ადგილი ჰქონდა დაკავების შემდეგ. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით საქართველოს პროკურატურის საქმიანობა არაეფექტურია. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების კვალიფიკაცია.

ვინაიდან 2015 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემური რჩებოდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს უმოკლეს ვადებში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებს.

გარდა ამისა, საზოგადოების ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, ამ დრომდე არ შექმნილა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემს, მათ შორის ქონების რესტიტუციას და მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო მსჯავრდებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, დღემდე უცნობია სახალხო დამცველის 2013—2014 წლების საპარლამენტო ანგარიშებში მითითებული გახმაურებული და საზოგადოებაში მაღალი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების შედეგები. სამწუხაროდ, გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი დაზარალებული ოჯახების, დაინტერესებული პირებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ სამართალდამცავი უწყებების ქმედებები უფრო ეფექტური და გამჭვირვალე უნდა იყოს

2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის გადაწყვეტილება მიემართა სასამართლოს წინასწარი წარმოების პირველი პალატისათვის საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების ნებართვისათვის.

არაერთი ყოფილი თანამდებობის პირი იქნა დაპატიმრებული სხვადასხვა ბრალდებით, რომელთა მიმართაც წინასწარი პატიმრობის არაჯეროვანი გამოყენება ქმნიდა სამართლის შერჩევითად გამოყენების ნიშნებს. ამ მხრივ საგულისხმოა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პროგრესული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2015 წლის განმავლობაში გამართული აქციების ნაწილი ექსცესების გარეშე ჩატარდა, თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი, სადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა ან/და მოხდა შეკრების თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

მიმდინარე წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო მრავალფეროვანი მედია გარემო. თუმცა, 2015 წლის ბოლოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შესახებ მიმდინარე სასამართლო დავის პროცესში მწვავედ დადგა ჯანსაღი მედია გარემოს შენარჩუნებისა და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საკითხები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევად რჩება ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ქვეყანაში პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. კერძოდ, დაბალია ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა. ამასთან, შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები, განსაკუთრებულ პრობლემას ფემიციდი წარმოადგენს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ადრეულ ასაკში ქორწინების მაღალი მაჩვენებლები.

გამოწვევად რჩება ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტ პირთა მიმართ და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტური გამოძიება. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება 2015 წლის 17 მაისის, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მშვიდობიან გარემოში აღნიშვნას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 17 მაისს განვითარებულ ძალადობრივ ქმედებებში მონაწილე დანაშაულის ჩამდენი არცერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია; თუმცა, კანონში არსებული ხარვეზები სახალხო დამცველს უქმნის რეალურ დაბრკოლებას, ეფექტურად განახორციელოს მასზე დაკისრებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ხოლო დისკრიმინაციის მსხვერპლს ხელს უშლის ეფექტურად აღიდგინოს დარღვეულ უფლებები. ხარვეზების გამოსწორების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წინადადების ინიცირება მოხდა პარლამენტის მიერ, სამწუხაროდ პროცესი ჭიანურდება და ჯერ—ჯერობით კანონში ცვლილებები არ არის შესული.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს მოქალაქეების უჩა ნანუაშვილისა და მიხეილ შარაშიძის საკონსტიტუციო სარჩელის დაკმაყოფილება, რის შედეგადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს ადგენდა.

მიმდინარე წელსვე ჩატარდა შუალედური საპარლამენტო არჩევნები მარტვილისა და საგარეჯოს მაჟორიტარულ ოლქებში. დიდი საზოგადოებრივი დისკუსია გამოიწვია საგარეჯოს მაჟორიტარულ ოლქში საარჩევნო უბნის გამონაკლისი შემთხვევის სახით სამხედრო ნაწილში შექმნის საკითხმა. სახალხო დამცველის შეფასებით, ამ მიმართულებით დღის წესრიგში დგას არსებული საკანონმდებლო რეგულირების შეცვლის საჭიროება.

კვლავაც საგანგაშო და შემაშფოთებელია ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობა: ბავშვთა სიკვდილიანობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, არასრულწლოვანთა ცხოვრების არასათანადო დონე, მიუწვდომელი სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურება, ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება. ხელისუფლების საგანგებო ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა. მწვავე პრობლემები ფიქსირდება მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებსა და რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული პანსიონებში; კვლავ აქტუალურია არასრულწლოვან ბრალდებულთა სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევების საკითხი.

პრობლემად რჩება ფსიქიკური დახმარების თავშესაფრების და მედიკამენტების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის გამცემი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების მიხედვით თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება, ინკლუზიური განათლების სისტემა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება, ფიზიკური გარემოსადმი ხელმისაწვდომობა.

გარანტირებულია რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა; კერძოდ, რელიგიური ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მიღება, სადავო რელიგიურ ნაგებობათა კუთვნილება, საჯარო სასკოლო განათლების სივრცეში რელიგიური დისკრიმინაციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაცია, რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი შესაძლო დანაშაულებების ეფექტური გამოძიების საკითხი.

დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დასახვეწია სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის საკითხი.

მიმდინარე წლის განმავლობაში მასშტაბური სახე მიიღო ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევამ. დაფიქსირდა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ამსახველი ვიდეო კადრების გავრცელებისა და საჯარო ჩვენების, ასევე, პირადი სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი აუდიოჩანაწერების გავრცელების ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ფარული მიყურადებისა და პერსონალური მონაცემების დაცვისათვის ახალი რეგულაციები დაწესდა (რაც უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს), „ელექტორნული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში კვლავ რჩება ნორმა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და კომუნიკაციის შინაარსის რეალურ დროში უწყვეტი მიღების უფლებას აძლევს.

საგანგაშოა შრომის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების არარსებობა და სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი. სამწუხაროდ, სახელმწიფო დონეზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები შრომის უფლებების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს - შრომის ინსპექციის შესაქმნელად.

პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მონაცემთა ერთიანი ბაზის არარსებობა, რის გამოც უცნობია საქართველოს მასშტაბით თავშესაფრის საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა. ამასთან, არასაკმარისია უსახლკარო პირთა მიზნობრივი დახმარებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსური სახსრები.

განსაკუთრებით მძიმეა მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებლთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის და საცხოვრებელი გარემო—პირობების კუთხით. დადებითად უნდა აღინიშნოს მიმდინარე წლის განმავლობაში მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მიღება. თუმცა, საქართველოს მთავრობამ უმოკლეს ვადებში უნდა შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მაღალმთიან რაიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის კვლავ გამოწვევად რჩება დასაქმება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება და მიგრაცია. აქტუალურია უსაფრთხოებასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებით საგანგაშოა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა გალის რაიონში.

ქვეყნისთვის სერიოზულ გამოწვევად რჩება დევნილთა განსახლება და სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში ცხოვრება.

ერთ—ერთ ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზება. დაბალია მოსახლეობის დროული ინფორმირების და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხი ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებაზე.

წინა წლების მსგავსად, კვლავ საგანგაშოა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ათი ათასობით ოჯახის მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება ის პროგრამები, რომლებმაც

უნდა უზრუნველყოს ეკომიგრანტის განსახლებულ პუნქტში ადაპტაცია და რეგიონში დამკვიდრება. ამასთან, არ ტარდება პრევენციული ღონისძიებები სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით. საგულისხმოა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულმა თავი თბილისში 2015 წლის 13—14 ივნისის სტიქიის დროსაც იჩინა.

სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მესხების დაბრუნების, და განსაკუთრებით მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი დღემდე აქტუალური განსჯის საგანია. კვლავ გამოწვევად რჩება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის იმპლემენტაცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება, დასაქმება, ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა თუ ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა არაერთი პრობლემა ხანდაზმულ პირთა უფლებების რეალიზებასთან მიმართებით. მაგალითისთვის, ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი ადეკვატურ საცხოვრებელზე, სოციალურ სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე, რის გამოც სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ამასთან, არ არსებობს ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულ პირთა იდენტიფიცირების, დაცვისა და პრევენციის ქმედითი მექანიზმი. სახელმწიფოს კვლავ არ გააჩნია ხანდაზმულთა მიმართ ეფექტური პოლიტიკა და მათი უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის სტრატეგია.

თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის კუთხით იკვეთება რიგი პრობლემები. მაგალითისთვის, წვევამდელთა შემოვლა ექიმებთან მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც რიგ შემთხვევებში წვევამდელების პატივსა და ღირსების შელახვას იწვევს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს ძირითადად დაცვის სამსახურის მიზნებისთვის იყენებენ და არ უტარდებათ საბრძოლო და ფიზიკური მომზადება. შესაბამისად, აუცილებელია, სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემური დახვეწა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში 6 სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა, რომელთაგან ორმა თავი მოიკლა. გამოიკვეთა, რომ სუიციდი ძირითადად გამოწვეული იყო სოციალური პირობებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ზემოთაღნიშნულ და სხვა პრობლემებზე მომდევნო თავებში შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი სახალხო დამცველის შეფასებები. თუმცა, ბუნებრივია, შეზღუდული ფორმატის გამო, ანგარიში არ მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში მიმოხილულ ყველა უფლებას. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტს არ აქვს ყოვლისმომცველობის პრეტენზია. იმ ტენდეციებსა და თემებს, რომლებიც შესწავლის ეტაპზეა, ყურადღება დაეთმობა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში. ასევე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეთავების ნუმერაცია ამა თუ იმ უფლების პრიორიტეტულობაზე ან ნაკლებ მნიშვნელობაზე არ მეტყველებს.

1. პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველი მიესალმება 2015 წელს პატიმრობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის თანახმად, 2016 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიეცემა. დადებითად უნდა შეფასდეს ცვლილებები, რომელიც მიმართულია პენიტენციური სისტემის ცენტრალიზებულ მართვასა და შიდა ინსპექტირების სისტემის გაუმჯობესებისკენ. სახალხო დამცველი ასევე პოზიტიურად აფასებს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების სისტემის შემოღებას და ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია რისკების სწორი შეფასება და შემდგომ მათი პერიოდული გადასინჯვა. ამ პროცესში მსჯავრდებულმა დაუბრკოლებლად, სრულად უნდა ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის გარანტიებით.

საანგარიშო პერიოდში პრობლემად რჩებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა. შესაბამისად, კვლავაც უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობასთან მიმართებით. არსებითი ხასიათის ხარვეზები არსებობს პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათისა და წარმომავლობის სათანადო დოკუმენტირებისა და შესაბამისი რეაგირების თვალსაზრისით. საგამოძიებო ორგანო, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღებას, ვინაიდან მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, ეს ჩანაწერები გონივრული ვადით არ ინახება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანების შესაბამისად, ჩანაწერები ინახება არანაკლებ 24 საათისა, რაც გაუგებარს ხდის რეალურად რა ვადით ინახება სათვალთვალო კამერებით განხორციელებული ჩანაწერები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს არ ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს ასეთ ჩანაწერებს, რაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციური დაწესებულებებში კვლავაც არსებობს არასათანადო მოპყრობის მაღალი რისკი.

პენიტენციურ სისტემაში უსაფრთოხების დაცვის თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენს უსაფრთხოების ღონისძიებების დაუსაბუთებელი და არაპროპორციული გამოყენების პრაქტიკა. ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილებები მწირ ინფორმაციას შეიცავს ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ და შაბლონური ხასიათისაა. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია კვალავაც უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახალხო დამცველთან/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, ეწინააღმდეგება კონფიდენციალურობის პრინციპს. ამასთან, დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევების რაოდენობის ზრდის ტენდენცია და ზოგადად დისციპლინური სახდელების გამოყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკა ეჭვქვეშ აყენებს დისციპლინური სახდელების გამოყენების პროპორციულობას.

ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა ქალი პატიმრის ციხეში მიღებასა და ტრანსპორტირების პროცედურებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულებაში გაუმჯობესდა სანიტარულ–ჰიგიენური პირობების დაცვის შესაძლებლობა.

პენიტენციურ დაწესებულებებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პატიმართა შორის ძალადობის პრევენცია, ციხის კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღება და წესრიგის დაცვა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია დაწესებულებებში პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ მიმართული აქტივობების სიმწირით. დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა არ აძლევს პატიმრებს საშუალებას დაკავდნენ სპორტით ან სხვა საინტერესო აქტივობით, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ასეთ პირობებში იზრდება პატიმართა უკმაყოფილება, ხოლო მოთხოვნის/საჩივრის განხილვის ეფექტური შიდა მექანიზმის არარსებობის გამო, ხშირად, ეს უკმაყოფილება პატიმართა მიერ თვითდაზიანებასა და პროტესტის სხვადასხვა უკიდურეს ფორმებში ვლინდება.

სახალხო დამცველის შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების უფლებრივი მდგომარეობა უკიდურესად შეზღუდულია, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. ბრალდებულები ყოველდღიურად 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში, მათი კონტაქტი გარე სამყაროსთან დამოკიდებულია სასამართლოს ან/და პროკურატურის ნებართვაზე, არ აქვთ უფლება ჰქონდეთ ხანგრძლივი პაემანი, რაც პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს. პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ბრალდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობი არ უნდა იყოს 3 კვ.მ.-ზე ნაკლები მაშინ, როდესაც მსჯავრდებულის შემთხვევაში ეს ფართობი 4 კვ.მ.-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირად ადგილი აქვს პატიმართა გადაყვანას აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში და პირიქით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილს, რომელიც სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ასეთ შორ მანძილზე გადაყვანის შედეგად, პატიმრებს უძნელდებათ ოჯახთან და ადვოკატთან კონტაქტის შენარჩუნება.

უმეტეს პენიტენციურ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა რიგ დაწესებულებებში სავენტილაციო სისტემა გაუმართავია და ყველა მსჯავრდებული არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ N7 დაწესებულებაში დღესაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დაწესებულების ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სახალხო

დამცველმა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით არაერთი რეკომენდაცია გასცა, თუმცა, დაწესებულებაში არა თუ არ გამოსწორებულა ვითარება, არამედ გაუარესდა, ვინაიდან გაიზარდა პატიმართა რაოდენობა. ამდენად, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით, ხოლო დაწესებულების დახურვამდე, აუცილებლად მიაჩნია დროებითი ღონისძიების სახით, პატიმართა მძიმე მდგომარეობის გარკვეულწილად შესამსუბუქებლად კონკრეტული ზომების დაუყოვნებლივ მიღება.

საანგარიშო პერიოდში მწვავედ იდგა პენიტენციური დაწესებულებებში არსებული მაღაზიების პროდუქციით სათანადო მომარაგების საკითხი, რაც არაერთხელ გამხდარა პატიმართა კოლექტიური პროტესტის საფუძველი. საქართველოს სახალხო დამცველმა მაღაზიების სათანადო მომარაგებასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიმართა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ გატარებული ზომების შედეგად შეიცვალა პენიტენციური დაწესებულებების მაღაზიების მომმარაგებელი კომპანია და ამჟამად, მაღაზიების მომარაგების პრობლემა გამოსწორებულია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით შემცირებულია პატიმართა გარდაცვალების, მათ შორის, სუიციდის შემთხვევები. 2015 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ სისტემაში დაფიქსირდა გარდაცვალების 12 შემთხვევა, აქედან 2 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სუიციდს, მაშინ, როცა 2014 წელს გარდაცვლილი 27 პატიმრიდან, სუიციდს 7 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. გარდაცვალების შემთხვევათა შემცირება პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში მიღწეულ პროგრესზე მიუთითებს, თუმცა მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისაკენ მიმართული ძალისხმევა.

2. პოლიცია და მდგომარეობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არაპროპორციული, გადამეტებული ძალის გამოყენება. ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ ძალადობას ადგილი ჰქონდა დაკავების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე განსაკუთრებით აჭარის, იმერეთისა და კახეთის რეგიონებიდან გახშირდა მომართვიანობა.

საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში, დაკავების ოქმში არ არის მითითებული პოლიციელის მხრიდან ძალის გამოყენების შესახებ, რისი უფლებაც მას კონკრეტულ შემთხვევებში კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნია, ხოლო როდესაც ოქმი შეიცავს მითითებას ძალის გამოყენების შესახებ, არ არის აღწერილი, თუ როგორ მოხდა ძალის გამოყენება და არის თუ არა დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებები სწორედ ამ ძალის გამოყენების შედეგი. ასეთ ვითარებაში ჩნდება პრეზუმფცია, რომ შესაძლოა პირის მიმართ ადგილი ჰქონოდა არასათანადო მოპყრობას. აღსანიშნავია, რომ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შემოწმების დროს პოლიციის მხრიდან იარაღის უკანონო გამოყენების სავარაუდო ფაქტი აღმოაჩინა.

პრობლემურია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველყოფა. არის შემთხვევები, როდესაც დაკავებისას ძალის გადამეტების ან/და დაკავების შემდეგ ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტებზე გამოძიება ცალკე წარმოებად არ იწყება და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები შემოიფარგლებიან დაკავებული პირის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ძალის გამოყენების გარემოებების შესახებ ბრალდებულის გამოკითხვით. აუცილებელია, მსგავს შემთხვევებში გამოძიება საქართველოს პროკურატურამ აწარმოოს.

საანგარიშო პერიოდში პოლიციის სამმართველოებში განხორციელებულმა ვიზიტებმა გამოავლინა, რომ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დაკავებულ პირთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიების ნაკლებობა. მართალია, დროებითი მოთავსების იზოლატორებში სხეულის დაზიანებების დოკუმენტირება შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ხდება, თუმცა ხარვეზები მაინც არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმმა არ მოახდინა დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანების დოკუმენტირება. გამოიკვეთა, რომ არაერთ შემთხვევაში დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილ გარეგნული დათვალიერების ოქმში უფრო მეტი დაზიანება იყო მითითებული, ვიდრე დაკავების ოქმში, ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში დაკავებულ პირს თავისა და სახის არეში აღენიშნებოდა ისეთი დაზიანებები, რომელიც არ შეიძლებოდა არ შეემჩნია დამკავებელ პირს. შესაბამისად, ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ ზემოთ მითითებულ

შემთხვევებში, შესაძლებელია, პირი დაკავების შემდგომ, დროებით მოთავსების იზოლატორში განთავსებამდე დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამმართველოებში არსებული ჟურნალების ხარვეზებით წარმოება. უმრავლეს შემთხვევაში, პოლიციის სამმართველოების შენობებში არ არის სათვალთვალო კამერები. ასეთი კამერები ზოგიერთ სამმართველოში შენობის შესასვლელშია მხოლოდ დამონტაჟებული. შესაბამისად, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა პირობებში ჰყავდათ დაკავებული პირი პოლიციის სამმართველოს შენობაში. დროებითი მოთავსების იზოლატორებში კამერები დამონტაჟებულია დერეფანში, მაგრამ, როგორც იზოლატორის თანამშრომლები, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები განმარტავენ, ვიდეო დაკვირვება რეალურ რეჟიმში მიმდინარეობს და ჩანაწერების შენახვა არ ხდება. ჩანაწერების შენახვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან რეკომენდებულია, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს იზოლატორში. მნიშვნელოვანია, ყველა ის ადგილი სადაც საგამოძიებო მოქმედება ტარდება აღჭურვილი იყოს კამერით და ხდებოდეს ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა.

3. არასათანადო მოპყრობა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავი ორგანოებისა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი განცხადება შეისწავლა. იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლეს შემთხვევებში მსგავსი ქმედებების გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს, 2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ერთ–ერთ მთავარ რეკომენდაციას კვლავ სამართალდამცავების მიერ სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე გამოძიების წარმოებისათვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა წარმოადგენს.

განცხადებებზე მუშაობისას, ათეულობით შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოიპოვა რელევანტური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია მიაწოდა სამართალდამცავ უწყებებს. თორმეტ შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით[1] მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს კონკრეტულ ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

საგამოძიებო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში კვლავ იკვეთება გამოძიების გაჭიანურებისა და არაეფექტიანად წარმართვის ნიშნები. მათ შორის ყურადსაღებია ისეთი გარემოება, როგორიცაა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე პირთა დაზარალებულად ცნობის პროცესის გაჭიანურება. ასევე აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიების ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად ამცირებს ის ფაქტიც, რომ პატიმართა უსაფრთხოების მიზნით არ ტარდება ქმედითი დაცვითი ღონისძიებები. კერძოდ, არ ხდება დაუყოვნებლივ მათი სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა, განცალკევებით განთავსება, ვიდეო-მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსება ან/და სხვა რელევანტური ღონისძიებების გატარება.

დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეთა კვალიფიკაციის პრაქტიკა. მსგავსი ფაქტებისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებლობა წლების განმავლობაში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის საგანს. კერძოდ, ქვეყანაში წლების მანძილზე არსებული არასწორი პრაქტიკა გულისხმობს შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით კვალიფიკაციას (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სამართალდამცავი უწყებების მხრიდან მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ არაერთი საქმე დაკვალიფიცირდა შესაბამისი სპეციალური - საქართველოს სისხლის კოდექსის 144[3] მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

საყურადღებოა 2015 წლის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, ბრალდებულ გ.ო.-ს მიმართ,

1 აღნიშნული წინადადებებიდან 4 შემთხვევა ეხებოდა პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მიერ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, ხოლო 7 შემთხვევა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის ერთ წინადადებაში ასახული იქნა როგორც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ, ისე პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევა.

რომელსაც ბრალი წარედგინა ცრუ დასმენისთვის. სამართალდამცავების პოზიციით, პატიმარმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, რომლის საფუძველზე დაიწყო გამოძიება ბრალდებულის მიმართ პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. მოგვიანებით მოცემულ საქმეზე გამოძიება შეწყდა და თავად ხსენებული პატიმარი მიეცა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, პირადი მოტივით ცრუ დასმენის ფაქტზე.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია წამების თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე არ შეიძლება იყოს პირის/პატიმრის წინააღმდეგ მიმართული და გამოყენებული ან გახდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. აღნიშნული გამომდინარეობს წამების აბსოლუტური აკრძალვისა და საერთაშორისო კონვენციური ვალდებულებებიდან, ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელების საფუძვლებიდან. ამასთან, მოცემული შემთხვევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალური საფრთხის გამო, ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ საჩივრის წარდგენისგან თავის შეკავების საფუძვლიან ალბათობას ქმნის. ეს კი თავის მხრივ, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელ უპირობო გარემოებად შესაძლოა იქცეს.

საქართველოს პროკურატურის მოქმედებები ამ და სხვა არაერთ საქმეზე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს უმოკლეს ვადებში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებს.

4. მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის პირველადი შედეგები ცხადყოფს, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებობს არაერთი მწვავე პრობლემა. დაწესებულებებში გამოწვევას წარმოადგენს პაციენტების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პაციენტთა შორის ძალადობის და თვითდაზიანების პრევენცია. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლინდა, როგორც პერსონალის მხრიდან, ასევე პაციენტებს შორის ძალადობის შემთხვევები. ზოგიერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პრობლემურია ფიზიკური შეზღუდვის მომეტებული პრაქტიკა, ფიზიკური შეზღუდვის პროცედურის დაცვა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.

გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მატერიალური პირობები და თერაპიული გარემოს უზრუნველყოფის საკითხი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა შპს „ა. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში“, შპს „აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“, შპს „სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში“.

ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით არ არის ხელმისაწვდომი ბიოფსიქოსოციალური მოდელი, დახმარება ძირითადად ფარმაკოთერაპიით შემოიფარგლება. რიგ დაწესებულებებში პრობლემებია ხარისხიანი მედიკამენტებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სოციალური სამსახური ხარვეზებით მუშაობს. დიდ გამოწვევას წარმოადგენს პაციენტთა რეაბილიტაციის უზრუნველყოფა; მდგომარეობას ამძიმებს სუფთა ჰაერზე ყოფნისა და რეკრეაციის, ასევე პაციენტთა ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული პრობლემები; ხშირ შემთხვევაში, არაადეკვატურია სომატური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

მონიტორინგმა გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც პაციენტს ფორმალურად ხელი აქვს მოწერილი პაციენტის სამედიცინო მომსახურების შესახებ წერილობით, ინფორმირებულ თანხმობაზე, მაგრამ რეალურად არ სურს იმყოფებოდეს სტაციონარში და იღებდეს სამედიცინო მომსახურებას. მიუხედავად ამისა, მას არ შეუძლია დატოვოს სტაციონარი. შესაბამისად, ასეთ პაციენტებს თავისუფლება დე ფაქტო აქვთ შეზღუდული და მოკლებული არიან სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ქმედუუნარო პაციენტთა დიდ ნაწილს არ ჰყავს სოციალური მხარდამჭერი, სხვა შემთხვევებში, მეურვეები თავს არიდებენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, უარს აცხადებენ პაციენტის სტაციონარული დაწესებულებიდან გაყვანაზე და კანონიერი ინტერესების დაცვაზე, რაც საბოლოო ჯამში იწვევს პაციენტთა ხანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას წლების განმავლობაში.

ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები უთითებენ მწირ დაფინანსებაზე, გამოყოფილი თანხების განკარგვის პროცესში არსებულ ბარიერებზე, პერსონალის ნაკლებობასა და შრომის არაადეკვატურ ანაზღაურებაზე. გამოწვევას წარმოადგენს პერსონალის პროფესიული სწავლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ფსიქიატრიული დახმარების დაფინანსების მოცულობა და ხარჯთეფექტურობა. უნდა გაძლიერდეს სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი. აუცილებელია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად და არსებული სტიგმის აღმოსაფხვრელად.

5. პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

წლების მანძილზე პატიმრობის გამოყენებას ჰქონდა საკმაოდ ხშირი ხასიათი, ამასთან, ამ ყველაზე მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არ ხდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების სრულყოფილად დასაბუთება, რაც არაერთხელ გამხდარა საქართველოს სახალხო დამცველის კრიტიკის საგანი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში. პოზიტიური ტენდენციების მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება რომ პატიმრობის გამოყენების სიხშირე წლების მანძილზე ხასიათდება კლებადობით. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილია შედარებითი სტატისტიკა, რომელიც ნათელს ხდის, რომ 2014 წელს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 32,4%–ს შეადგენდა პატიმრობა, ხოლო 2015 წლის გასული ათი თვის განმავლობაში კი 30,0%–ს.

ცალკე უნდა აღინიშნოს შემთხვევა, როცა ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაში მონაწილე სამ პირს, ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის შეურაცხყოფის ფაქტზე წინასწარი პატიმრობა მიესაჯათ, მაშინ, როდესაც სხვა არაერთ შემთხვევასთან დაკავშირებით, როცა ენმ-ს წევრები გახდნენ ზეწოლის ობიექტი, ბრალდებულ პირთა მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა არ ყოფილა გამოყენებული და სასამართლო ადმინისტრაციული ჯარიმებით შემოიფარგლა2. აღნიშნული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შერჩევითი სამართლის ნიშნებს აჩენს.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ცალსახა და ნათელ რეგულაციებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის განმეორებით გამოყენების საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საერთო სასამართლოების მხრიდან არაერთხელ მომხდარა პატიმრობის გამოყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომლის მიმართ სხვა ბრალდების ფარგლებში აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებული იყო პატიმრობა.

საერთო სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის განმეორებით გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა უახლოეს წარსულში გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი. მოცემულ საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას მის მიერ 2015 წლის 15 სექტემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში. ყურადსაღებია, რომ ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად, დაუშვებელია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ მომენტიდან, როდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ ბრალდებულის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა გაუტოლდება 9 თვეს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის განმეორებით გამოყენების თვალსაზრისით სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგად, საერთო სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გარკვეული სახის ხარვეზები გამოიკვეთა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების შინაარსთან. საქართველოს საერთო სასამართლოების მხრიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კონკრეტულ ფაქტებთან მიმართება და გამოყენების შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევასთან დაკავშირებით არ ხდება. კერძოდ:

2015 წლის 17 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების თანახმად, გაუქმდა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის სახით გამოყენებული პატიმრობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა სასამართლომ ზედმიწევნით არ დაიცვა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება/სტანდარტი: არ გაანალიზა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯელობის გარეშე დატოვა საკითხი – ჰქონდა თუ არა ადგილი ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების მიზნით სახელმწიფო ბრალდების მხრიდან კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობას, შეგნებულად ბრალის წაყენების გაჭიანურებას, ბრალდების ხელოვნურად დანაწევრებას.

2 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 7 ოქტომბრის საჯარო განცხადება, http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-qutaisshi-parlamenttan-gamartul-aqciaze-dakavebuli-pirebis-shesaxeb.page

რაც შეეხება პატიმრობის განმეორებით გამოყენების საგამონაკლისო შემთხვევებს, აპარატის მიერ შესწავლილ ერთ–ერთ საქმეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე მსჯელობის, ანალიზის და დადგენის გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის პატიმრობის განმეორებით შეფარდება ჩაითვალა გამონაკლის შემთხვევად. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა წინასწარი პატიმრობის შეფარდება კონსტიტუციის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაშიც, როცა ბრალის წარდგენა ან/და პატიმრობის მოთხოვნა ხელოვნურად ჭიანურდება და გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გასაგრძელებლად, საერთო სასამართლოს მოსამართლემ არ დაადგინა – ჰქონდა თუ არა ადგილი ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის მიმართ ბოროტად და შეგნებულად ბრალის წაყენების გაჭიანურებას. მითუმეტეს, რომ ბრალდებულ გ.ო.–ს საქმეში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის 9-თვიანი ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე ახალი ბრალის წარდგენა, არსებითი სახის ახალი მტკიცებულების მოპოვების და საქმეში არსებობის გარეშე განხორციელდა, რაც ფაქტობრივად, სახელმწიფო ბრალდებამ სასამართლოს წინაშე ნათლად წარმოაჩინა.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, საერთო სასამართლოები ვალდებული არიან განავითარონ ერთიანი სწორი სასამართლო პრაქტიკა და არ მოხდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არასწორი/არასრული განმარტება ან ინტერპრეტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება ბრალდებულის კანონიერი უფლებების დარღვევის ფაქტს და არაკონსტიტუციური საფუძვლით პირის თავისუფლების შეზღუდვას.

6. სამართლიანი სასამართლოს უფლება

მიმდინარე წელს მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტი შემუშავდა. საკანონმდებლო პაკეტში გათვალისწინებულია სახალხო დამცველის ერთ–ერთი მთავარი რეკომენდაცია სასამართლოში საქმის განაწილების ელექტრონული წესის შემოღებასთან დაკავშირებით და იმედს ვიტოვებთ, რომ კანონი დროულად იქნება მიღებული პარლამენტის მიერ.

სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აუცილებელია მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის და დაწინაურების პროცესის სამართლიანად და გამჭირვალედ წარმართვა. ვინაიდან, მართლმსაჯულების საბოლოო ავტორი არის მოსამართლე, არსებითად მნიშვნელოვანია, იუსტიციის საბჭომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს სასამართლო კორპუსის ღირსეული კადრებით დაკომპლექტება. აღნიშნულ პროცესში, მიზანშეწონილია, საბჭომ გაითვალისწინოს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები და პერიოდულად წარდგენილი რეკომენდაციები მოსამართლეთა საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის 30 ოქტომბერს გამოეხმაურა და უარყოფითად შეაფასა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესი, რაც სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა უკონკურსოდ, დაჩქარებული წესით, დანიშვნა–დაწინაურებას უკავშირდება. კრიტიკული მოსაზრებები განპირობებული იყო იმ გარემოებებით, რომ ობიექტური, მკაფიოდ გაწერილი, სამართლიანი და გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცესის არარსებობის პირობებში, სახალხო დამცველისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა გადაყვანა/დაწინაურების პროცესის დაწყება. გარდა ამისა, სახალხო დამცველი გამოეხმაურა დაწინაურების მიზნით მიმდინარე გასაუბრების ფორმალურ პროცესს და კრიტიკულად შეაფასა კანდიდატთა პროფესიული გამოცდილების სათანადო შეფასების გარეშე პროცესის დაჩქარებულად წარმართვა. ამასთან, საყურადღებოა, რომ იუსტიციის საბჭომ დაწინაურების პროცესში არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის მონიტორინგის შედეგების თაობაზე.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ კვლავ პრობლემურია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების საკითხი. საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიაწოდეს დაუსაბუთებელი და მწირი ინფორმაცია კონკრეტულ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების წინადადებების განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. მაშინ, როცა 2015 წელს საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში კონკრეტული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოსამართლეთა მიერ ჩადენილ დისცი-

პლინურ გადაცდომებზე, რათა საქმეების განხილვა არ გაჭიანურდეს და უზრუნველყოფილ იქნეს დროული და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

გარდა ამისა, 2015 წელს მსჯავრდებულთა განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის სისტემური პრობლემა, გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეების განაჩენების ასლების მსჯავრდებულთათვის კანონით დადგენილ ვადაში გადაუცემლობის, ასევე, გორის რაიონული სასამართლოს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრისა და საქმის გადაგზავნის არაგონივრული გაჭიანურების გამო. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული ვითარება, საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციას. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია, გატარდეს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები სისხლის სამართლის საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვისა და მსჯავრდებულთათვის დასაბუთებული განაჩენების ასლების გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით. 2015 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს.

7. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

მიმდინარე წლის განმავლობაში მასშტაბური სახე მიიღო ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევამ. დაფიქსირდა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ამსახველი ვიდეო კადრების გავრცელებისა და საჯარო ჩვენების, ასევე, პირადი სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი აუდიოჩანაწერების უკრაინულ ვებ–გვერდზე განთავსების ფაქტები.

გავრცელებული ვიდეოჩანაწერები იძლეოდა წამების მსხვერპლთა იდენტიფიცირების საშუალებას, შეიცავდა ძალზე მძიმე სექსუალური და ფიზიკური ძალადობის კადრებს. ამის მიუხედავად, თბილისსა და ზუგდიდში მათი საჯარო ჩვენება გაიმართა, ხოლო ტელეკომპანია „ობიექტივმა“ – არაერთხელ გადასცა ეთერში. სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს მსგავსი მასალის იდენტიფიცირებადი სახით, ასევე არასრულწლოვანთათვის ხელმისაწვდომი ფორმით გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ ასეთი ჩანაწერები ასევე შეიცავს მსხვერპლთა ხელახალი ტრავმატიზაციის საფრთხეს.

რაც შეეხება გავრცელებულ აუდიოჩანაწერებს, ისინი ასახავდნენ ცალკეული პოლიტიკოსების, ასევე მედიასაშუალების ხელმძღვანელის საუბარს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან. გავრცელებულ მასალებში სხვა კერძო სატელეფონო საუბრებიც მოხვდა.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებისა და გავრცელებული აუდიოჩანაწერების მოპოვების, ასევე, მათი გავრცელების გარემოებების და ქმედების ჩამდენი პირების დადგენისა და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, აუცილებელია ეფექტიანი, სწრაფი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ზედმიწევნითი გამოძიების ჩატარება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი მძიმე უფლებადარღვევის გამეორებას თავიდან ვერ ავიცილებთ.

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ჭრილში, ასევე, აღსანიშნავია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საკითხი. მართალია, 2015 წლის 31 მარტიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა ამოქმედდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო 2015 წლის 1 აგვისტოდან – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ–ტექნიკური დეპარტამენტი, უფლებამოსილია რეალურ დროში მოიპოვოს ინფორმაცია და საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი არ არის მოცემულ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მექანიზმი. გარდა ამისა, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იქნა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან დამოუკიდებელი საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს ფაქტობრივად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვის განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებს, ამ უფლების შეზღუდვისათვის საპირწონე საჯარო ინტერესების განსაზღვრის ვალდებულების გარეშე. შესაბამისად, 2015 წლის 2 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8^3 მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.

8. რელიგიის თავისუფლება

2015 წელს უმცირესობების მიერ რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობის კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

რელიგიის თავისუფლების სფეროში კვალავ უმთავრეს პრობლემად რჩება რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დასრულება, დამნაშავეებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივის გამოკვეთა და დანაშაულებრივი ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემურია რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილ სამართალდარღვევებზე დროული რეაგირება. გარდა ამისა, დღემდე პასუხისგებაში არ არიან მიცემული ის პირები, ვინც 2012-2014 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მუსლიმთა უფლებების დარღვევაში მონაწილეობდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, კანონდამრღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობა ახალისებს მომდევნო უფლებადარღვევის შემთხვევებს.

მიმდინარე წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა იეჰოვას მოწმეთა მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის რამდენიმე ათეული ფაქტის შესახებ. ამასთან, ადგილი ჰქონდა იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზისა და რელიგიური ლიტერატურის დაზიანებისა და განადგურების ფაქტებსაც.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება სადავო რელიგიურ ნაგებობათა კუთვნილების საკითხი. მიუხედავად გარკვეული პერიოდის გასვლისა, ამ დრომდე უცნობია რელიგიის სააგენტოს მიერ შექმნილი ე.წ. მოხეს კომისიის მიერ ამავე სოფელში არსებული სადავო შენობის კუთვნილების საკითხის შესწავლის შედეგები.

კვლავაც პრობლემაა სასკოლო სივრცეში რელიგიური დისკრიმინაციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაცია. კერძოდ, რამდენიმე შემთხვევაში განმცხადებლები უთითებენ რელიგიური ორგანიზაციების საწინააღმდეგო აქციებზე სკოლის მოსწავლეთა ორგანიზებული მონაწილეობის ფაქტებისა და მათი შესწავლისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არასაკმარისი რეაგირების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საგადასახადო რეჟიმი არადომინანტ რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში კვლავაც უთანასწოროა.

9. ეროვნული უმცირესობები

2015 წლის განმავლობაში ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ფუნდამენტური ცვლილებები არ მომხდარა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული დადებითი ძვრები შეინიშნებოდა.

კერძოდ, 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა. ამ სტრატეგიითა და გეგმით განისაზღვრა მრავალი მნიშვნელოვანი აქტივობა, რაც მომდევნო წლებში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით უნდა განხორციელდეს.

გარდა ამისა, 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ეროვნულ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების სწავლებას ქართულ და არაქართულენოვან საჯარო სკოლებში. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო 2007 წლიდან მოყოლებული რეგულარულად აყენებდა განათლების სამინისტროს წინაშე მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობის საკითხს.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა განათლების სფეროში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ბილინგვური სწავლების, ბილინგვური სახელმძღვანელოებისა და ბილინგვური პედაგოგების მომზადების საკითხი.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ბოლო წლებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით ამაღლდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონე და გაიზარდა სახელმწიფო ენის მცოდნეთა რაოდენობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული საქმიანობა არ არის საკმარისი და საჭიროა სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების კიდევ უფრო გაფართოება და სრულყოფა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებულად მიმდინარეობს ე.წ. „ერთს პლიუს ოთხი სისტემით“ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტების ჩარიცხვა; თუმცა, კანონით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების შესაძლებლობა ასევე განსაზღვრულია ოსურენოვანი საგამოცდო ტესტის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ოსურენოვან აბიტურიენტებს ამის შესაძლებლობა სამწუხაროდ, არც წელს მიეცათ, მიზეზად კვლავ ტესტების ოსურენოვანი ვარიანტის მომზადების პრობლემა სახელდება.

საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბოშების უფლებების დაცვის, ინტეგრაციის, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობისა და სხვა მრავალი საკითხი. ამ მიმართულებით 2015 წელს, ისევე, როგორც გასულ წლებში, სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური პროგრამა ან აქტივობა არ განხორციელებულა.

კვლავ გადაუჭრელია თბილისის პეტროს ადამიანის სომხური და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრების რეაბილიტაციისა და სრულყოფილი ფუნქციონირების საკითხი.

ეროვნული უმცირესობების ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ უმნიშვნელოვანესი ელემენტია სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისა და ეროვნული უმცირესობების უფლებათა ეფექტიანი დაცვისთვის. ცხადია, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ უმცირესობათა ენებზე მომზადებული 15 წუთიანი საინფორმაციო გადაცემები საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ქვეყანში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციით სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს. 2015 წელს ამ თვალსაზრისით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

10. გამოხატვის თავისუფლება

მიმდინარე წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო მრავალფეროვანი მედია გარემო. თუმცა, 2015 წლის ბოლოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შესახებ მიმდინარე სასამართლო დავის პროცესში მწვავედ დადგა ჯანსაღი მედია გარემოს შენარჩუნებისა და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საკითხები. ამასთან, კვლავ გამოწვევად რჩება ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

უარყოფითად უნდა შეფასდეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“–ის ქონების დაყადაღებისა და დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები, როგორც გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა. აუცილებელია სასამართლო სისტემამ გაითვალისწინოს ის საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს მოჰყვეს, მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება თავის გადაწყვეტილებაში იმსჯელოს, შეაფასოს და განჩინებას საფუძვლად დაუდოს კომპანიის სარედაქციო პოლიტიკა.

საანგარიშო პერიოდში ორ შემთხვევაში მედიის წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს მათ მიმართ განხორციელებულ თვალთვალსა და შანტაჟზე. სავარაუდო დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებული თითოეული ინფორმაცია საჭიროებს დროულ და ეფექტურ გამოძიებას ქვეყანაში ჯანსაღი მედია გარემოს შენარჩუნებისათვის. ამასთან, აუცილებელია საგამოძიებო ორგანოებმა გაასაჯაროონ გამოძიების შედეგები, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ფაქტები. მაგალითად, სამშენებლო ღობესა და გარეგანათების ბოძზე პლაკატების გაკვრის გამო პოლიციელებმა სამი ადამიანი, მათ შორის მედიის წარმომადგენლები დააკავეს. სახალხო დამცველის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და დაკავების ღონისძიების გამოყენებაც არ იყო კანონშესაბამისი. რამდენიმე სხვა შემთხვევის შესახებ საუბარია შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების თავში.

რაც შეეხება ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ინფორმაციის თავისუფლება პრაქტიკაში საკმარისად რეალიზებული არ არის. გარკვეულ შემთხვევებში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მიზეზად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები კვლავაც უსაფუძვლოდ იშველიებენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონს. ინფორმაციის გაცემის საფუძვლების არსებობის შემთხვევაშიც კი ცალკეული საჯარო უწყებები უარს აცხადებენ აღნიშნულზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა. ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ კანონმდებლობა იცნობს ასეთი ინფორმაციის გაცემის სხვა საფუძვლებსაც, როგორებიცაა: კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობა და სხვა.

ომბუდსმენის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობა დღემდე არ ითვალისწინებს სანქციებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უკანონოდ უარის თქმისთვის, არ არსებობს შესაბამისი მექანიზმი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. საგულისხმოა, რომ დღემდე არ არის რატიფიცირებული ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენცია". გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ მომხდარა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის პროექტის პარლამენტისათვის წარდგენა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ თარიღად 2015 წლის გაზაფხული იყო განსაზღვრული.

11. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში ცალკეულ შემთხვევაში ხელისუფლებამ ვერ შეძლო საკუთარი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულება. გამოვლინდა აქციასა და ძალადობრივ ქმედებებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო მოხელეების წარმომადგენლების მონაწილეობის ფაქტიც.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმდინარე წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაადგინა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებისა და მასთან კავშირში გამოხატვის თავისუფლების დარღვევის ფაქტი. კერძოდ, აღნიშნულ ფაქტებს შორისაა: 2015 წლის 15 მარტს ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის დროს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არაეფექტური ქმედებები,[3] თბილისში, ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერში შეკრების მსურველთა უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა, აქცია "Stop Russia"–ს ერთ–ერთი ორგანიზატორის დაკავება, „პანორამათბილისის" წინააღმდეგ მიმდინარე აქციაზე 10 პირის დაკავება და სხვა. ხსენებული უფლებადარღვევის შემთხვევები საჭიროებს სათანადო რეაგირებას, რაც მსგავსი ფაქტების პრევენციასაც შეუწყობს ხელს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მშვიდად და ექსცესების გარეშე ჩაიარა 21 მარტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაგეგმილმა საკმაოდ ფართომაშტაბიანმა აქციამ და 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღემ.

12. დისკრიმინაციის აკრძალვა

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიღება ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია; თუმცა, კანონში არსებული ხარვეზები სახალხო დამცველს უქმნის რეალურ დაბრკოლებას, ეფექტურად განახორციელოს მასზე დაკისრებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ხოლო დისკრიმინაციის მსხვერპლს ხელს უშლის ეფექტურად აღიდგინოს დარღვეული უფლებები. ხარვეზების გამოსწორების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის 11 თებერვალს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. მიუხედავად იმისა, რომ წინადადების ინიცირება პარლამენტმა მოახდინა, პროცესი მაინც ჭიანურდება და კანონში ცვლილებები ჯერ–ჯერობით შესული არ არის. საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული ცვლილებები ეხება კერძო პირთა მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას, საჩივრის შეტანის ვადების გაზრდას, რეკომენდაციის შესრულების შედეგების სახალხო დამცველისთვის შეტყობინებას და სხვა.

დისკრიმინაციის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების 57 პროცენტი საჯარო სექტორს, ხოლო 43 პროცენტი კერძო სექტორს ეხება. მომჩივანთა 15 პროცენტი შრომით ურთიერთობებში პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო დისკრიმინაციაზე დავობს, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია საქმეთა 11 პროცენტში არის გახდილი სადავოდ, იგივე შეიძლება ითქვას რელიგიასა და რწმენის ნიშნით დისკრიმინაციაზე. მომჩივანთა ათ-ათი პროცენტი კი შეზღუდული შესაძლებლობის, სქესის, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების გამო ჩადენილ დისკრიმინაციაზე მიუთითებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ოჯახები კვლავ აწყდებიან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მომსახურების სფეროში, მაგალითად, საცხოვრებლის ქირავნობის, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს. დისკრიმინაციას ასევე ვაწყდებით სამუშაოზე ხელმისაწვდომობისა და განათლების უფლებით სარგებლობისას.

3 15 მარტს კოალიცია „ქართული ოცნების" აქტივისტების ნაწილი ძალის გამოყენებით შეიჭრა ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის" ოფისში.

მიუხედავად სახალხო დამცველის ზოგადი წინადადებისა ვაკანსიის შესახებ დისკრიმინაციულ განცხადებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული კომპანიები კვლავ აქვეყნებენ ამგვარ განცხადებებს. ამასთან, ხშირია სხვადასხვა დისკრიმინაციული მოტივებით სამსახურიდან გათავისუფლება, სამსახურში მიღებაზე უარის თქმა და არათანაბარი სამუშაო პირობების განსაზღვრა.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიმართვისას განმცხადებლები ხშირად უთითებენ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის გამო მომსახურების სხვადასხვა სფეროში დისკრიმინაციისა და შევიწროების შემთხვევებზე.

მნიშვნელოვანია თანასწორობის, ტოლერანტობის და მრავალკულტურული გარემოს შესახებ საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება, საზოგადოების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა და სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის, რაც ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფოსთვის შემუშავებულ რეკომენდაციას წარმოადგენს.

13. საკუთრების უფლება

საკუთრების უფლების დაცვის კუთხით წლის განმავლობაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენას საპოლიციო გამოსახლების მექანიზმის გაუქმების ინიციატივა წარმოადგენდა.

ცვლილების პროექტის მიხედვით, მესაკუთრეს აღარ ექნება შესაძლებლობა პოლიციის მეშვეობით მოითხოვოს იმ პირის გამოსახლება, რომელიც თვითნებურად დაეუფლა მის უძრავ ქონებას. აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვა მოუწევს. ამ თვალსაზრისით, კანონპროექტი საკმაოდ რეგრესულ ჩანაწერებს შეიცავდა. საპარლამენტო განხილვების განმავლობაში პროექტმა ცვლილებები განიცადა, რის გამოც დაგეგმილი ნეგატიური ხასიათის ინიციატივები შერბილდა. კერძოდ, პროექტის ამჟამინდელი ვერსიის მიხედვით, სასამართლო განხილვის ვადა შემცირებულია, სახელმწიფო ბაჟი აღარ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება სასამართლოსათვის მისამართად, ვინაიდან მოსარჩელეს მისივე შუამდგომლობით გადაუვადდება სახელმწიფო ბაჟის გადახდა. აღნიშნული ცვლილებებით ასევე შეიქმნა პროცესუალური შესაძლებლობები სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის. მნიშვნელოვანია, თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული ცვლილებები პრაქტიკაში, მათი საბოლოოდ მიღების შემთხვევაში, მათ შორის, რამდენად მოახერხებენ სასამართლოები განხილვის მცირე ვადების დაცვას და დარღვეული საკუთრების უფლების დროულად აღდგენას.

რაც შეეხება უძრავი ქონების რეგისტრაციის საკითხს, მართალია გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემების დაზუსტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით, თუმცა ე.წ. ზედდება/დუბლირებული რეგისტრაციები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

14. საარჩევნო უფლება

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს მოქალაქეების უჩა ნანუაშვილისა და მიხეილ შარაშიძის საკონსტიტუციო სარჩელის დაკმაყოფილება, რის შედეგადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგენდა 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს. წლების განმავლობაში არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა ხმების თანასწორობის პრინციპს, ვინაიდან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა მკვეთრად დიფერენცირებული რაოდენობა იყო რეგისტრირებული. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა იქნას მიჩნეული. სახალხო დამცველის ერთ–ერთ რეკომენდაციას სწორედ ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო სისტემის დახვეწა წარმოადგენდა.

მიმდინარე წელსვე ჩატარდა შუალედური საპარლამენტო არჩევნები მარტვილისა და საგარეჯოს მაჟორიტარულ ოლქებში. დიდი საზოგადოებრივი დისკუსია გამოიწვია საგარეჯოს მაჟორიტარულ ოლქში საარჩევნო უბნის გამონაკლისი შემთხვევის სახით სამხედრო ნაწილში შექმნის საკითხმა. სახალხო დამცველის შეფასებით, ამ მიმართულებით დღის წესრიგში დგას არსებული საკანონმდებლო რეგულირების შეცვლის საჭიროება. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, შუალედური არჩევნების მიმდინარეობისას, საარჩევნო უბნების სიახლოვეს ძალადობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. აუცილებელია, აღნიშნული შემთხვევები დაუყოვნებლივ იქნეს გამოძიებული, ხოლო დამნაშავეები – დასჯილნი.

მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის საქმიანობის 2014 წლის ანგარიშისა და რეკომენდაციების შესაბამისად, გაგრძელდეს საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების პროცესი, მით უფრო, რომ მომავალ წელს ქვეყანა ემზადება მორიგი საპარლამენტო არჩევნებისათვის.

15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა როგორც კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის ინდივიდუალური შემთხვევები, ასევე პრაქტიკაში არსებული სისტემური პრობლემები.

ნიშანდობლივია, რომ არ შესრულებულა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის თებერვალში გამოცემული რეკომენდაცია, საყდრისი–ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის უკანონოდ მოხსნის თაობაზე.

2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნებართვის გარეშე გარკვეული სამუშაოების შესრულების შემთხვევები.

ამასთან, სისტემურ პრობლემად იკვეთება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჩართულობა და მისი მხრიდან მხოლოდ დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობა თუ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

16. შრომის უფლება

კვლავ პრობლემად რჩება შრომით უფლებებსა და შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციის არარსებობა. მართალია, საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, თუმცა აღნიშნული ვერ ჩაითვლება მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმად. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მხოლოდ იმ საწარმოთა შემოწმება, რომლებიც წინასწარ გამოთქვამენ ამის სურვილს და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მონიტორებს მხოლოდ შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაციების გაცემის უფლება გააჩნიათ. შესაბამისად, დამსაქმებლის ნების არარსებობის პირობებში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მექანიზმი არ არსებობს.

საანგარიშო პერიოდში არაერთმა განმცხადებელმა მოგვმართა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საჯარო სამსახურში თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსები ფორმალურ ხასიათს ატარებს და თანამდებობებზე წინასწარ შერჩეული კანდიდატების დანიშვნა ხდება. განცხადებების შესწავლის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კონკურსანტებთან გასაუბრების ამსახველი ოქმები სრულყოფილი სახით არ იყო შედგენილი, ასევე ვერ დადგინდა, კონკრეტულად რა კრიტერიუმით მოხდა სხვა პირისთვის უპირატესობის მინიჭება, რაც იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ კონკურსები სამართლიანად არ ჩატარებულა.

გარდა ამისა, პრობლემურად მივიჩნევთ თვითმმართველობის ორგანოებში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მათი თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება კონკურსის გარეშე, ასევე მათი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებების დროს არ ხდება მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო დასაბუთება და აპელირება ხდება იმაზე, რომ აღნიშნული წარმოადგენს გამგებლის/მერის უფლებამოსილებას. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით აღიარებულია დასაქმებულის უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება იცავს მოქალაქეებს სამსახურიდან გათავისუფლების დროსაც. მოცემულ შემთხვევაში მოქალაქეებს არ ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობა, კონკურსის გზით დაიკავონ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა, ხოლო თანამშრომლებს, რომლებსაც ჰქონდათ აღნიშნულ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დასაქმების ლეგიტიმური მოლოდინი, დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობებიდან, რაც ლახავს მათ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. სახალხო დამცველის მიერ პარლამენტში წარდგენილი მთელი რიგი შენიშვნებიდან ნაწილი გათვალისწინებული იქნა. თუმცა, შენიშვნების ნაწილი გაუთვალისწინებელია. აღნიშნული შეეხება, მაგალითად, მოხელის მაქსიმალური გამოსაცდელი ვადის 6 თვიდან 12 თვემდე გაზრდას, რაც აუარესებს მოხელეთა მდგომარეობას და მათ გარკვეული რისკების ქვეშ აყენებს.

17. ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება

საანგარიშო პერიოდში ერთ–ერთ ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენდა ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაცია. მოცემული საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი სისტემური პრობლემები, რომლებიც უპირველესად გაუმართავი საკანონმდებლო ბაზითა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობითაა განპირობებული. შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ–ჯერობით გადადგმული არ არის.

განსაკუთრებით აქტუალურ საკითხს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის არაერთი ხარვეზი, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებით სარგებლობაზე. ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემები ასახვას ჰპოვებს პრაქტიკაში, მათ შორისაა ჰიდროელექტრო სადგურებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა. მწვავედ დგას საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმირებულობის ნაკლებობის საკითხი ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებაზე. აღსანიშნავია რომ, როგორც სახალხო დამცველისათვის გახდა ცნობილი, ამა წლის 13–14 ივნისს თბილისში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, თუმცა საზოგადოებისათვის უცნობია მისი შედეგები.

18. ჯანდაცვის უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატს მომართავდნენ პირები, რომელთაც სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საჭიროება აქვთ და უთითებენ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვერ ფარავს ასეთი ტიპის ხარჯებს.

საგულისხმოა, რომ 2015 წელს ინიცირებულ იქნა კანონპროექტი „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის და მთავრობის ძალისხმევას ქვეყანაში ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებათა ერთიანი სისტემის დანერგვისთვის. აუცილებელია, რომ კანონპროექტში ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთოს არანებაყოფლობითი იზოლაციის სტანდარტები და პროცედურები, პაციენტის იზოლაციის საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება, ასევე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მომართვიანობა შეეხებოდა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“ სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტებს. საკითხის შესწავლაში სახალხო დამცველის აპარატის ჩართვის შემდეგ გარკვეულწილად გაუმჯობესდა პაციენტების როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე მკურნალობისა და კვების პირობები.

მისასალმებელია საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირებას, C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის სერვისებსა და უფასო მკურნალობაზე წვდომის უზრუნველყოფას C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთათვის.

2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა დიდი ყურადღება დაუთმო ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის განვითარების ხელშეწყობის საკითხებს. შესაბამის უწყებებს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავდეს ბავშვთა და მოზარდთა ჯამრთელობის დაცვისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ნუსხა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - „ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში“. მნიშვნელოვანია აღნიშნული სტანდარტების პრაქტიკაში დამკვიდრება.

გარკვეული წინსვლის მიუხედავად, ჯანმრთელობის დაცვაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, უზრუნველყოფილი არ არის,. საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონებში ვიზიტისას გამოიკვეთა სამედიცინო პუნქტების არასათანადოდ აღჭურვილობის, მათი სიმცირისა და სამედიცინო პერსონალის ნაკლებობის პრობლემები.

19. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის არაერთ ძალისხმევას ბავშვთა უფლებების გაუმჯობესების მიმართულებით. იმ ნაბიჯებს შორის, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით გადაიდგა, აღსანიშნავია პარლამენტის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, აგრეთვე, სკოლამდელი განათლების კანონპროექტის მომზადება, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონში ცვლილებების ინიცირება და მინდობით აღზრდის სტანდარტების მომზადება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არაერთი გამოწვევა არსებობს.

კვლავ დღის წესრიგშია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის ხელმოწერისა და რატიფიკაციის საკითხი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებას სახელმწიფო უწყებების მხრიდან ვალდებულებების მეტი თანმიმდევრულობით შესრულება უნდა მოჰყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კვლავ მაღალია ბავშვის მიმართ ძალადობის მაჩვენებელი, საქართველოს კანონმდებლობაში ჯერ-ჯერობით არ ასახულა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო მეტ პასუხისმგებლობას აიღებს ბავშვის ყველა სახის ძალადობისგან დაცვის მიზნით. ამასთან, არ არის მიღებული ქმედითი ზომები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ხშირ შემთხვევაში, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები არ ფლობენ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა და მსგავსი ფაქტების პრევენციისათვის საჭირო უნარ–ჩვევებს. პრობლემას წარმოადგენს, აგრეთვე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობისა და რეფერირების პროცედურების შესახებ ბრძანების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს შორის სუსტი კოორდინაცია. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ საქმისწარმოების პროცესში გამოვლინდა ბავშვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა, აღნიშნულ სფეროში შეიქმნას სამოქმედო გეგმა – „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“, ევროპის საბჭოს კონვენციის პრაქტიკაში აქტიური დანერგვისათვის აუცილებელი ქვეპროგრამების დართვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ რეკომენდაციაზე სახალხო დამცველს მთავრობისგან საპასუხო წერილი არ მიუღია.

განსაკუთრებით პრობლემურია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნების ძალადობისგან დაცვის საკითხი. მათი დაცვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების შესახებ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

პრობლემად რჩება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მშობლების განქორწინების შემთხვევაში. გარდა ამისა, ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებადი დამხმარე ქვეპროგრამების ნაწილი სრულფასოვნად ვერ ფარავს არასრულწლოვნების საჭიროებებს. სოციალური სამსახური დღემდე არ არის აღჭურვილი საკმარისი, კვალიფიციური პერსონალით და ტექნიკური რესურსით, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებით.

კვლავაც მწვავედ დგას ბავშვთა სიღარიბისა და სიკვდილიანობის პრობლემა. მიუხედავად კლების სტატისტიკისა, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემდგომი შემცირება კვლავ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

პრობლემურია სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა, პედაგოგთა სისტემური გადამზადება, აგრეთვე ინკლუზიური განათლების პროგრამის სრულფასოვნად დანერგვა, პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განათლების უწყვეტობა და ხარისხის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. გასატარებელია გადაუდებელი ღონისძიებები, რათა არასრულწლოვანი მსჯავრდებულები/ბრალდებულები დაცული იყვნენ ნებისმიერი სახის ძალადობისგან, განსაკუთრებით ბულინგისგან. პრობლემურია, ასევე, ყოფილ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა, არსებული მანდატის ფარგლებში, პირველად განახორციელა მონიტორინგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში. მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული პანსიონების ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სერვისი საჭიროებს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას და პანსიონების ბენეფიციართა აღზრდას ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. აუცილებელია, რომ რელიგიური პანსიონების ბენეფიციარების შემთხვევაშიც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიენიჭოს მათი კანონიერი წარმომადგენლობითი უფლება–მოვალეობები. გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბენეფიციარებს სრულყოფილად არ მიეწოდებათ ფსიქიატრიული/ფსიქოლოგიური მომსახურება, ხოლო აღმზრდელების უმრავლესობა საჭიროებს გადამზადებას ბავშვზე ზრუნვის სფეროში. ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები შეიძლება არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს.

20. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა საქართველოში

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა კვლავ პრობლემას წარმოადგენს.

მისასალმებელია „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის ხელმოწერა და სარატიფიკაციო პაკეტის მომზადება. მიგვაჩნია, რომ კონვენციის რატიფიცირება, რომელსაც თან უნდა სდევდეს შესაბამისი სერვისების შექმნა და დახვეწა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევის გზებს. სამწუხაროდ, კონვენცია ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული.

ძალიან მძიმეა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის ირგვლივ არსებული რეალობა. განსაკუთრებულ შეშფოთებას ქალთა მკვლელობების შემთხვევები იწვევს. საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 2015 წლის პირველ ნახევარში, ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 17 სისხლის სამართალის საქმეზე დაიწყო, საიდანაც 9 შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირობებში იქნა ჩადენილი, ხოლო 3 შემთხვევაში გენდერული ნიშნით ძალადობას ჰქონდა ადგილი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ პრაქტიკაში კვლავ გვხვდება პოლიციის მხრიდან არასათანადო რეაგირების შემთხვევები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს დამცავი ღონისძიებების გამოყენების ტენდენციის ზრდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2015 წლის პირველ ნახევარში გამოცემულია 1478 შემაკავებელი ორდერი.

პრობლემის მასშტაბებისა და სიმძაფრის გათვალისწინებით, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რათა თითოეულმა ქალმა იგრძნოს თავი ძალადობისაგან დაცულად; რათა ჰქონდეთ იმედი, რომ მიმართვის შემთხვევაში, საჭირო დახმარებას მიიღებენ. მაგალითად, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებში სოციალურ მუშაკთა ჩართვას, რაც ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა საქართველოში.

საქართველოში კვლავ ძალიან მძიმე პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2015 წლის პირველ ნახევარში, 16-დან 18 წლამდე პირთა (როდესაც ერთი პირი მაინც იყო არასრულწლოვანი) 265 ქორწინება დარეგისტრირდა. თუმცა, გაცილებით მაღალია არაფორმალური ქორწინებები ადრეულ ასაკში, რაც სამწუხაროდ სტატისტიკის გარეთ დარჩენილი ციფრებია. ამაზე მეტყველებს იმ გოგონათა რიცხვი, რომლებიც შვილის გაჩენის მომენტში ჯერ კიდევ არ იყვნენ სრულწლოვანები. 2014 წელს ასეთი 1627 არასრულწლოვანი მშობელი დარეგისტრირდა.

ადრეულ ასაკში ქორწინება ხშირად არასრულწლოვანთა მშობლების ინიციატივაა და ზოგიერთ შემთხვევაში მათი მხრიდან შვილების იძულებასაც აქვს ადგილი. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) რეკომენდაციის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომლის მიხედვითაც 16–დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე ნებართვის გაცემის შესაძლებლობა მხოლოდ სასამართლოს ექნება. აღნიშნული ინიციატივა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა, 2015 წლის 26 ნოემბერს პირველი მოსმენით მიიღო, შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ ასეთი ტიპის შემთხვევების პრევენცია.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა როლისა და საჭიროებების გათვალისწინება მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში. ამ მიმართულებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2015 წელს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელა.[4] მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ნაკლებობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი ქალებისთვის. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი მონაწილეობის განსაკუთრებულად დაბალი მაჩვენებელი. სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების ძირითადი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად ახორციელებენ ნაკისრ ვალდებულებებს. თუმცა, ამასთან, უნდა აღინიშნოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმატებული პრაქტიკა და საკითხის ინსტიტუციონალიზაციისაკენ მიმართული არაერთი წარმატებული ღონისძიება.

ასევე ძალიან მნიშვნელოვან საკითხად რჩება ქალთა ჩართულობისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გაზრდა. 2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს სპეციალური დროებითი ღონისძიების – კვოტირების შესახებ მოსაზრება წარუდგინა, რომლითაც მხარი დაუჭირა ქალთა მოძრაობის ინიციატივას 50/50. ინიციატივის მიხედვით, კანდიდატთა სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს. ასეთი გადანაწილება ერთადერთი გზაა რეალური შედეგის მისაღწევად.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალთა შრომითი უფლებების დაცვა და თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში. სამწუხაროდ, კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები კვლავ არ გადადგმულა. ქალები პრობლემას აწყდებიან დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების, თანამდებობრივი დაწინაურებისა თუ თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების საკითხებზე. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისას არსებული უთანასწორო მიდგომების შესაცვლელად.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან ერთად, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა არსებული სერვისების შეფასება. 2015 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფარი) მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ თავშესაფრებში არსებული მდგომარეობა კეთილსაიმედოა. თუმცა, გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა მოგვარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სერვისის მიწოდების ხარისხს. მაგალითად, დაწესებულებას არ აქვს სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა იყოს მოწყობილი საცხოვრებელი და განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესები. ამასთან, აღსანიშნავია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემებიც. არცერთი თავშესაფარი არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის და მათი განთავსება საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელია. პრობლემას წარმოადგენს თავშესაფარში გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირთა განთავსებაც.

21. ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ლგბტ ადამიანთა მდგომარეობის ამსახველი კვლევები და ანგარიშები ერთხმად აღიარებენ, რომ ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები არასაკმარისადაა გათვალისწინებული, რაც ზოგ შემთხვევაში, მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევით სრულდება.

ტრანსგენდერი ადამიანები პრობლემებს აწყდებიან სამოქალაქო აქტების ჩანაწერში სქესის შეცვლისას, რაც თავის მხრივ, ხელშემშლელი ფაქტორია განათლების მიღების, დასაქმებისა თუ სხვა პროცესებში. საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, კანონით დადგენილი წესის ბუნდოვანების გამო, საკითხი დარეგულირდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური წესით. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებისათვის ქმედითი ნაბიჯები ამ დრომდე არ გადადგმულა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება 2015 წლის 17 მაისის, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის, მშვიდობიან გარემოში აღნიშვნას. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. სამი აქციის მონიტორინგის შედეგად არ გამოვლენილა ძალადობის, აქციის ხელშეშლისა თუ ადამიანის უფლებადარღვევის არცერთი შემთხვევა.

4 გაეროს უშიშროების საბჭოს -1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012 -2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 17 მაისს განვითარებულ ძალადობრივ ქმედებებში მონაწილე დანაშაულის ჩამდენი არცერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

ლგბტ პატიმრები განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან პენიტენციურ დაწესებულებებში, რადგან საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულების გავლენა უფრო მკვეთრად და ხშირად აგრესიული ფონით ვლინდება. საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ლბტ პატიმრების მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება გბტ პატიმრების მდგომარეობისგან, რაც ძირითადად განთავსების საკითხსა და პატიმართა შორის მიმღებლობას უკავშირდება. საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგით დგინდება, რომ აუცილებელია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება და ასევე, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება პატიმართა შორის მიმღებლობის, არსებული დისკრიმინაციული მიდგომების ცვლილებისა და მათი უსაფრთხოების ისეთი ზომების დადგენისათვის, რომელიც ხელს არ შეუშლის ლგბტ პატიმრებს თანაბარი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ დაწესებულების შიგნით არსებულ პროგრამებსა და სერვისებზე.

22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად რჩება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის იმპლემენტაცია. პარლამენტს ჯერ კიდევ არ მოუხდენია კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლებადარღვევის ფაქტებზე გაეროს შესაბამისი კომიტეტისთვის მიმართვის შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის იმპლემენტაციის ორგანოდ განისაზღვრა პრემიერ მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭო, სახელმწიფომ ვერ შექმნა ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას უზრუნველყოფდა.

2015 წლის იანვრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, როგორც კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანომ, დაიწყო მექანიზმის ფორმირება, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს, საკონსულტაციო საბჭოს და მონიტორინგის ჯგუფს. მექანიზმის საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმირებას, „ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ჩანაცვლების“ პრინციპის „გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერით“ შეცვლას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში სათანადოდ არ ყოფილა განჭვრეტილი და გათვალისწინებული ცალკეული გარემოებები. აღნიშნული ძირითადად უკავშირდება პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების დროს მის მიერ გარკვეული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის არქონისა და მისგან მომდინარე საფრთხეების მოწესრიგების საკითხს.

პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა თუ ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხშირად უგულებელყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს და არღვევენ არსებულ ნორმებს. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა მისაწვდომობასთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე შეისწავლა და რეკომენდაციით მიმართა პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს. მათ შორის, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რათა უზრუნველყოს მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპის გათვალისწინება.

კვლავ პრობლემურია ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული მდგომარეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. წინადადება ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფას, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სატელევიზიო პროგრამების და ფილმების მისაწვდომობას სხვადასხვა ფორმების, მეთოდების, საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება და დასაქმება. ბოლო თვეების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სახალხო დამცველისადმი იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა მიმართვიანობის რიცხვი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ახალი „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“[5] დამტკიცების შემდეგ არსებითად გართულებულია მათთვის საარსებო შემწეობით სარგებლობის უფლების მოპოვება, რაც თავის მხრივ იწვევს მათი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ამ პირთა შრომის უფლების რეალიზების კუთხით არსებული გამოწვევები. სახელმწიფოს კვლავაც არ აქვს შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა დასაქმების პოლიტიკა, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და პროგრამები. პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას ბავშვობის ასაკიდან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირებისთვის, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელნი ტოვებენ სახელმწიფო ინსტიტუციებს და უმეტესად, საცხოვრებლის გარეშე რჩებიან.

დაბოლოს, ნიშანდობლივია, რომ ხარვეზებით ხორციელდება ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ამასთან, გამოწვევად რჩება სწავლების ხარისხი და უწყვეტობა.

23. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა არაერთი პრობლემა ხანდაზმულ პირთა უფლებების რეალიზებასთან მიმართებით. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი ადეკვატურ საცხოვრებელზე, სოციალურ სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე, რის გამოც სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ხშირია მათ მიმართ ძალადობის ფაქტები. ამასთან, არ არსებობს ძალადობის იდენტიფიცირების, მსხვერპლის დაცვისა და პრევენციის ქმედითი მექანიზმი.

სახელმწიფოს კვლავ არ გააჩნია ხანდაზმულთა მიმართ ეფექტიანი პოლიტიკა და მათი უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის სტრატეგია. არსებული პროგრამები და სერვისები არ არის ორიენტირებული აღნიშნულ პირთა სპეციფიურ საჭიროებებზე. ხანდაზმულ პირთა დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, სახელმწიფო კი მათ მხოლოდ მინიმალურ საარსებო შემწეობას ან პანსიონურ მომსახურებას სთავაზობს. პრობლემურია შეთავაზებული სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურების რეალურად არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი. აღნიშნულს ადასტურებს ასეთ დაწესებულებაში ჩარიცხვის მსურველ პირთა მომლოდინეთა რიგების არსებობა. სახელმწიფო პროგრამებით არ არის გათვალისწინებული ასაკოვან ადამიანებზე ალტერნატიული ზრუნვის ისეთი სერვისები, როგორიცაა მაგალითად, შინ მოვლა და სხვ.

საგულისხმოა, რომ თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში, ასევე, ხანდაზმულთათვის სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურების მიმწოდებელ 5 სათემო ორგანიზაციაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ისეთი სერიოზული დარღვევები, როგორიცაა ბენეფიციართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, სტანდარტების შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმის არარსებობა და სხვა. გამოვლენილი ხარვეზები პანსიონებში არსებული მდგომარეობის ღირსების შემლახავად შეფასების საფუძველს იძლევა.

წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის კოორდინაციით დაბერების საკითხთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავების მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის შექმნა. ჯგუფმა ერთი წლის ვადაში უნდა შეიმუშაოს დაბერებასთან დაკავშირებული სამწლიანი სამოქმედო გეგმა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი შეფერხებულია და ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

24. სათანადო საცხოვრებლის უფლება

2015 წელს კვლავ პრობლემად რჩება სათანადო საცხოვრებლის უფლებით სარგებლობა. ამ მიმართულებით ძირითადი დაბრკოლებებია: გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა; უსახლკარო პირთა როგორც რეგიონული, ისე ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზების უქონლობა; აღნიშნული პირებისთვის

5 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N 758 დადგენილება, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667586

საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსის არარსებობა და ამ მიმართულებით გამოყოფილი ფინანსური სახსრების სიმწირე, ხოლო რიგ შემთხვევაში, ასეთი სახსრების უქონლობაც.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში უსახლკარო პირების ჩართულობა, მაშინ როდესაც სახელმწიფო მათ ვერ სთავაზობს საჭიროებებზე მორგებულ დახმარებებს. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2015 წლის მარტში გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში, სადაც დეტალურად განიხილა კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, რომლებიც სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით დგას საქართველოში[6].

სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზების მხრივ კვლავ საგანგაშოა ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე, ე.წ. „მუყაოს დასახლებაში" მცხოვრები მოქალაქეების მდგომარეობა, რომელთა უმრავლესობა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის არარსებობის გამო დასახლდა და ძალიან მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში უწევთ ცხოვრება.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები არ არის საკმარისი არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამდენად, პრინციპულად მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ გააძლიეროს და მიმართოს რეალური ძალისხმევა ქვეყანაში უსახლკარობის დასაძლევად.

25. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

წინა წლების მსგავსად, მიმდინარე წელსაც მაღალია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამაში ჩართვის მოთხოვნა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ქვეყნის მასშტაბით ავლენს საზოგადოების ყველაზე შეჭირვებულ პირთა წრეს და უზრუნველყოფს მათ საბაზისო სოციალური ბენეფიტებით.

2015 წლის პირველი მაისიდან სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა ე.წ. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება. მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს აქტიურად მიმართავდნენ მოქალაქეები მათი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ახალი მეთოდოლოგიით შეფასების კანონიერების შესწავლის მიზნით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალ მეთოდოლოგიაში არსებული შესაძლო ხარვეზების გამოსავლენად. შესწავლის შედეგები საზოგადოებისათვის მოგვიანებით გახდება ცნობილი.

დადებითად უნდა შეფასდეს მიმდინარე წლის განმავლობაში მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მიღება. მთის რეგიონის განვითარების შესახებ სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შემუშავება წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის საგანს. კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებისას სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული სოციალური შეღავათების პაკეტი სრულად არ პასუხობს კანონის მიზანს – მაღალმთიანი რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შეკავებას, მათ ადგილზე დამკვიდრება-ინტეგრაციას და დაბრუნებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ კანონპროექტის შემუშავების პროცესში არ იყო უზრუნველყოფილი საზოგადოების ფართო ჩართულობა. საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული კანონის მიღებისა და მასში გათვალისწინებული შეღავათებისა თუ ბენეფიტების შესახებ.

26. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2015 წლის განმავლობაში დადებითად უნდა შეფასდეს დევნილთა მასშტაბური გრძელვადიანი განსახლება თბილისსა და ზუგდიდში, ასევე, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ახალი პროგრამა, რომელიც გულისხმობს იძულებით გადაადგილებულ პირთა იპოთეკური სესხის თანადაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან. გასული წლების მსგავსად, სახელმწიფოს უმთავრეს გამოწვევად იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება რჩება. ბევრი დევნილი ოჯახი განაგრძობს ღირსებისათვის შეუფერებელ გარემოში ცხოვრებას. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები აღნიშნული საცხოვრებლების რეაბილიტაციის, დევნილთა დროებითი განსახლებისა თუ სხვა გზების მეშვეობით. დევნილთა ქირით უზრუნველყოფა, მათი დროებითი განსახლების მიზნით, მხოლოდ 6 თვით ხორციელდება, რაც დევნილებს არასტაბილურობის განცდას უჩენს და ვერ პასუხობს ბევრი ოჯახის რეალურ საჭიროებებს.

6 http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/ufleba-satanado-sacxovrisze-specialuri-angarishi.page

სახელმწიფომ უნდა განაგრძოს მის საკუთრებაში არსებული, დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული ობიექტების მათთვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. უმნიშვნელოვანესია ნგრევად და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილების განსახლების საკითხის დროულად გადაწყვეტა, დევნილთა უსაფრთხოებისა და მათი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველსაყოფად.[7]

27. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. საოკუპაციო ხაზზე, როგორც აფხაზეთის ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, კვლავ გრძელდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაკავებების მანკიერი პრაქტიკა. მათ შორის, სახალხო დამცველმა გამოავლინა ჩვილი ბავშვებისა და მშობლების, სკოლის მოსწავლეების, პაციენტების და ხანდაზმულთა დაკავების ფაქტები. ადგილობრივების განცხადებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც რუსი მესაზღვრეები გადმოდიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და იქ აკავებენ მოსახლეობას. დაკავებულთა ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის სარდაფებში არ არის სათანადო პირობები, დაკავებისას არ მიეწოდებათ წყალი და საჭმელი, ათეულობით ადამიანს ერთ ოთახში ათავსებენ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ოფიციალური სტატისტიკით, 2015 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე 148 ადამიანი იყო დაკავებული (ეს რიცხვი 2014 წელს 142-ს შეადგენდა), ხოლო აფხაზეთის მიმართულებით დაკავების 272 შემთხვევა გამოვლინდა (2014 წლის მონაცემით ეს რიცხვი 380 იყო), თუმცა დიდი ალბათობით, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავებების რაოდენობა გაცილებით მაღალია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუარესდა სამოქალაქო და სოციალური უფლებების მდგომარეობა. კონკრეტულად, გალის რაიონში, სკოლებში, სადაც აქამდე შესაძლებელი იყო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლების მიღება, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2015 წლის სექტემბრიდან დაწყებით კლასებში სწავლება რუსულ ენაზე გადავიდა. ამ ფაქტმა აღშფოთება და დაძაბულობა გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში, რადგან ეს გადაწყვეტილება ლახავს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას, აუარესებს განათლების ხარისხს და ზღუდავს განათლების ხელმისაწვდომობას.

დღემდე მოუგვარებელია გალის რაიონის მკვიდრთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საკითხი. 2014 წელს დე ფაქტო ხელისუფლებამ მოქმედება შეუჩერა გალის რაიონის მოსახლეობის ე.წ. აფხაზურ პასპორტებს იმ მოტივით, რომ ისინი კანონდარღვევით იყო გაცემული. 2015 წელს, დე ფაქტო ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებდნენ საქართველოს მოქალაქეობის ფლობის შესახებ, გალის რაიონის მოსახლეობა ბინადრობის ნებართვას მიიღებდა. ბინადრობის ნებართვა კი, მათი ცნობით გულისხმობს გადაადგილების შესაძლებლობას გამყოფ ხაზზე, საკუთრების დარეგისტრირების უფლებას და ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონის მკვიდრთა უმრავლესობამ განაცხადა საქართველოს მოქალაქეობის ფლობის შესახებ, ბინადრობის ნებართვა მათზე დღემდე არ გაცემულა.

კვლავ მძიმეა კონფლიქტით დაზარალებული შიდა ქართლისა და სამეგრელოს სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობა კვლავ უჩივის სარწყავი და სასმელი წყლის, საბავშვო ბაღების, გზების, სკოლების და სამედიცინო პუნქტების უქონლობას. 2013-2015 წლებში დასრულდა გაზიფიცირების ინფრასტრუქტურული სამუშაოები 50 სოფელში, მოეწყო სარწყავი წყლის ჭაბურღილები და სასმელი წყლის რეზერვუარები, რეაბილიტირებულ იქნა 29 საჯარო სკოლა და აშენდა ერთი ახალი სკოლა, ყოველწლიურად დაახლოებით 600-მდე სტუდენტს გამყოფი ხაზის სოფლებიდან დაუფინანსდა უმაღლესი განათლება. მიუხედავად ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური პროექტებისა, ადგილობრივებისათვის ყველაზე დიდ პრობლემად მაინც რჩება შემოსავლის წყაროს მოძიება, რადგან მავთულხლართების გავლებისა და სარწყავი წყლის გადაკეტვის გამო, მოსახლეობა ვეღარ მისდევს მათთვის ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. 2015 წელს კვლავ მოუგვარებელია 2008 წლის ომის დროს დაზიანებული სახლების აღდგენის საკითხი, იმ მოსახლეობისათვის, რომელსაც სახელმწიფოსგან არანაირი კომპენსაცია არ მიუღია.

2015 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის გადაწყვეტილება, მიემართა სასამართლოს წინასწარი წარმოების პირველი პალატისათვის საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩა-

7 http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-ngrevad-obieqtebshi-mcxovrebidzulebit-gadaadgilebul-pirta-gansaxlebastan-dakavshirebit.page

დენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების ნებართვისათვის. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ომის დროს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებების გამოძიება ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას, მსხვერპლთა უფლებების აღდგენას და კონფლიქტის მხარეებსა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის სამშვიდობო პროცესების დაჩქარებას.

28. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა – ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

2015 წელს გაიზარდა განსახლებული ეკომიგრანტი ოჯახების რიცხვი, რაც ბიუჯეტის ზრდით არის გამოწვეული. მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ეკომიგრანტთა შესახებ სპეციალური კანონის, ელექტრონული ბაზის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა, რაზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს. შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების არსებობა უზრუნველყოფს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირის როგორც პირველად გადაუდებელ დახმარებას, ასევე მის გრძელვადიან განსახლებას და განსახლების ადგილზე ინტეგრაციას.

ამასთან, პრობლემად რჩება სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება. საგულისხმოა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულმა თბილისში 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის დროსაც იჩინა თავი.

29. საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ

სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მესხების დაბრუნების საკითხი დღემდე აქტუალურ განსჯის საგნად რჩება. როგორც მოგეხსენებათ, 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან ერთად, საქართველოს, აღებული ვალდებულების თანახმად, უნდა შეემუშავებინა რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სამართლებრივი ჩარჩო, მათ შორის სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობისათვის მოქალაქეობის მიღების უფლების დარეგულირებით. მართალია 2014 წლის სექტემბერში დამტკიცდა „ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია“, რომელიც მიზნად ისახავს რეპატრიანტთა ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობას, თუმცა არ არის მიღებული სტრატეგიაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაიწერებოდა ინტეგრაციის კონკრეტული ღონისძიებები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახლებულ პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. მართალია საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს სახელმწიფოს რეპატრიანტისთვის გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭებას, ამ კუთხითაც არსებობს პრობლემები. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლისას დადგინდა, რომ მესხების მცირე ნაწილს მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა ბრძანება ამოქმედდება მათ მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტის კომპეტენტურ ორგანოებში წარდგენის შემდეგ. ეს არცთუ ისე გამარტივებული პროცედურაა აღნიშნულ პირთათვის, რადგან მათი მოქალაქეობის ქვეყანაში არსებული ბიუროკრატიული თუ სხვა ბარიერების გამო, ისინი ვერ გადიან მოქალაქეობიდან და შესაბამისად, ვერც საქართველოს მოქალაქეობას იღებენ.

30. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა

მიმდინარე წელს ამ მიმართულებით კანონმდებლობაში პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე გასცეს ელექტრონული ვიზა, ხოლო შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია სპეციალური ვებგვერდის – e-VISA PORTAL-ის მეშვეობით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით კი მიმდინარე წელს დამტკიცდა იმ 94 ქვეყნის ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით ყოფნის უფლება აქვთ.

წინა წლების მსგავსად, მიმდინარე წელსაც სახალხო დამცველს მიმართავდნენ უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებსაც ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით, უარი ეთქვათ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წელს განხორციელებული პოზიტიური ცვლ-

ილებების შედეგად, დეტალურად განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით პირს შესაძლოა უარი ეთქვას ბინადრობის მოწმობის გაცემაზე.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ განცხადებებში გამოვლინდა ფაქტები, სადაც შსს–ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი გადაწყვეტილებაში არ მიუთითებდა, თუ კონკრეტულად რომელი წინაპირობის არსებობამ გამოიწვია ეროვნული უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა. ასეთ დროს, პირს ფაქტობრივად ესპობა სასამართლოში საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა, ვინაიდან მისთვის რეალურად უცნობია ბინადრობის ნებართვაზე უარის არგუმენტაცია. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

31. თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

მსოფლიოში მიმდინარე არაერთმა კონფლიქტმა მილიონობით ადამიანი ლტოლვილად აქცია. 2015 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, რითაც საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიისა და „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშებში მითითებული რეკომენდაციები.

თუმცა, მიუხედავად ცვლილებებისა, კანონმდებლობა მაინც შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხონ კანონით დაცული პირების მიერ მათი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა. მართალია, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებით, ათიდან თხუთმეტ დღემდე გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთათვის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ხანგრძლივობა, აღნიშნული მაინც არ განიხილება გონივრულ ვადად. ირღვევა ბენეფიციართა უფლებები, რადგან „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ლტოლვილთათვის იგივე სამართლებრივი უფლებები, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ.

გარდა საკანონმდებლო ხარვეზებისა, დღემდე უმთავრეს პრობლემად რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლებით, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭებაზე უარის თქმის განმარტება თავშესაფრის მაძიებელ პირთათვის, რითაც ირღვევა ეფექტიანი სამართალწარმოების პრინციპი. მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს პასუხი შეიცავდეს დასაბუთებას ფაქტობრივი გარემოებების მითითებით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

32. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა

2015 წლის მარტიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირება დაიწყო თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა. დეპარტამენტი შეისწავლის როგორც მოქმედი სამხედროების, ასევე წვევამდელების, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების უფლებრივ მდგომარეობას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტში მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ წვევამდელთა შემოვლა ექიმებთან ხორციელდება ჯგუფურად. არ არის დაცული კონფიდენციალურობა, კერძოდ, ინდივიდუალური დიაგნოზები გარეშე პირების თანდასწრებით განიხილება. შემოწმებისას არ არის დაცული წვევამდელების პატივი და ღირსება. ამასთან, მობილიზაციის პუნქტებში წვევამდელებს სათანადოდ არ განემარტებათ მათი უფლებები.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა სამხედრო ნაწილებსა და ჰაუპტვახტებში. სამხედრო ნაწილების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ძირითადად სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს იყენებენ დაცვის სამსახურში, მათი ფუნქციაა საყარაულო განაწესში გუშაგებად გასვლა და სხვადასხვა ტიპის ფიზიკური და სამეურნეო სამუშაოების ჩატარება, არ ხდება მათი საბრძოლო და ფიზიკური მომზადება. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების განვითარებისთვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ არის გამოყოფილი რესურსი. რაც შეეხება ჰაუპტვახტებში არსებულ მდგომარეობას, საკნებში არ არის საკმარისი განათება, ვენტილაცია, გათბობის სისტემა და საპირფარეშოები. პატიმრებს წოლა უწევთ ხის ნარებზე მატრასის, ბალიშის და თეთრეულის გარეშე.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა 6 სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტი, საიდანაც 2 დაკვალიფიცირდა თვითმკვლელობად და შეწყდა გამოძიება. ოთხ საქმეზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო, საიდანაც ერთი შემთხვევა გადაკვალიფიცირდა როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია გარდაცვალება. აღნიშნულ საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება. გამოიკვეთა, რომ სუიციდი ძირითადად გამოწვეული იყო სოციალური პირობებით.

საგანგაშო მდგომარეობაა ვეტერანების საერთო საცხოვრებელში, მათთვის არ არის უზრუნველყოფილი ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. ვეტერანები თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ავარიულ, ამორტიზებულ შენობებში, რითაც საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ანალოგიური მდგომარეობაა ომის ინვალიდთა და ვეტერანთა რესპუბლიკურ ჰოსპიტალშიც. სამედიცინო აპარატურა მოძველებული და უმეტესად გამოუსადეგარია, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. გარდა ამისა, არსებული გარემო პაციენტისათვის ღირსების შემლახველია, ექიმების ანაზღაურება კი, მიზერული.

აღსანიშნავია, რომ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთადერთი სახელმწიფო დახმარება 22 ლარიანი სუბსიდიაა, კომუნალური გადასახადების დასაფარად.

ევროკავშირი

საქართველოს სახალხო დამცველი

სახალხო დამცველის აპარატი

გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.